№40(41) 11.10.1991

სარჯიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

ფორმულა 1-ის კულისებში

ზოგი მიდის, ზოგი რჩება, ზოგიც...

მე-2 გვერდი

ამოიცანით მომავალი ვარსკვლავები

მათთან ინტერვიუ ძვირად ფასობს

მე-3 გვერდი

ჭუჭა, სოფი, იუდითი

და ქართველი დიდოსტატები

მე-4 გვერდი

რაც არ უნდა განმეორდეს

ბარიკადებით ორად გაყოფილი საქართველო... XX საუკუნის მიწურულს... ძმამ ძმაზე აღმართა მახვილი... გლოვობს ქართველის დედა.
დაძაბულობამ თითქოს იკლო, ბარიკადებიც აღარსად ჩანს... ღმერთმა ინებოს — სამუდამოდ!

რეალური ინიციატივა

სტრატეგიული თვალსაზრისით სე ჯუნის თამაშს აქვს გარკვეული ხარვეზები. თვალში საცემია პრეტენდენტის სადებიუტო რეპერტუარის სიღარიბეც, მაგრამ, ამის მიუხედავად ბრძოლა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისათვის მძაფრად და უკომპრომისოდ მიმდინარეობს. ამას მიზნის სოლიდურობა განსაზღვრავს. რაც არ უნდა იყოს, ერთის მხრივ სასწორზეა დადებული მსოფლიო ჩემპიონის ავტორიტეტი და პრესტიჟი, მეორეს მხრივ კი მისი დაფრუნვის მცდელობა. მატჩის ექვსი პარტიის შემდეგ ჩინელი მოჭადრაკის სასტარტო ენთუზიაზმი ერთგვარი დეპრესიით შეიცვალა, რომელმაც, თუ არსებითი ცვლილებები არ მოხდა ძალთა შეფარდებაში, ქრონიკული ხასიათი შეიძლება მიიღოს.

ყოველ შემთხვევაში მეხუთე პარტიის ენდშპილმა სე ჯუნს ერთობ უსიამოვნო წუთები განაცდევინა. მაია ჩიბურდანიძემ მსოფლიო ჩემპიონისათვის საკმარისი სიზუსტითა და ოპერატიულობით გამოიყენა მეტოქის საეჭვო მანევრი ლაზიერით და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა. სპეციალისტების აღიარებით, ეს ჯერჯერობით საუკეთესო პარტიაა ამ მატჩში.

მოიპოვა რა სტრატეგიული უპირატესობა ორთაბრძოლაში, მსოფლიო ჩემპიონმა ტაქტიკური გონიერება გამოიჩინა და მომდევნო შეხვედრა მშვიდი, პოზიციური ბრძოლის გზით წარიმართა, რამაც მეტოქეები ლოგიკურ ყაიმზე შეათანხმა.

ექვსი განვლილი ტურის შემდეგ დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი — 3,5:2,5. იგი ჯერჯერობით რეალურ ინიციატივას ინარჩუნებს.

ცხარე ბრძოლები კორტებზე

თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტებზე დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს პირადი პირველობა ჩოგბურთში. ასპარეზობაში მონაწილე 56 სპორტსმენთაგან უმრავლესობა თბილისელია. მხოლოდ თითო-ოროლა მოთამაშითაა წარმოდგენილი ქუთაისი და რუსთავი. მეტი არავინ. რესპუბლიკის ჩოგბურთის ფედერაციამ და მერაბ კოსტავას საზოგადოებამ მონაწილეებისთვის სოლიდური ფულადი პრიზები დააწესეს. ვაჟთა ტურნირში გამარჯვებული 1200 მანეთს მიიღებს, ჩემპიონი ქალი კი — 100 მანეთით ნაკლებს.

გუშინ გამოვლინდა ქალთა შორის ამ პრიზის მფლობელი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს თბილისელი სპორტსმენები მაია აბაშიძე და ნინო ლუარსაბიშვილი შეხვდნენ. ფიზიკურად ძლიერი, ტანმაღალი ლუარსაბიშვილი ძირითადად უკანა ხაზზე მოქმედებდა და უძლიერესი დარტყმებით ცდილობდა ქულების მოგრეგვებას, თუმცა ხშირად ღალატობდა სიზუსტე. აბაშიძემ მეტოქის ძალისმიერ თამაშს ბადესთან ხშირი გასვლები და უფრო მრავალფეროვანი შეტევები დაუპირისპირა და საბოლოოდ ორ სეტში მიაღწია კიდეც საწადელს — 6:4, 6:2. 168-ე სკოლის XI კლასის მოსწავლე მაია აბაშიძე ზედიზედ მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. მისი მწვრთნელია წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი გივი ახალაძე.

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ანა გასპარიანმა დაამარცხა ვერიკო თუხარელი ანგარიშით 7:5, 6:1.

დღეს გაიმართება ვაჟთა ფინალური ორთაბრძოლა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანთის პირისპირ დადგებიან დავით კაჭარავა და ირაკლი სვანიძე, რომლებმაც გუშინ ნახევარფინალურ შეხვედრებში შესაბამისად ანატოლი ახალაძეს და დავით კვარაცხელიას აჯობეს.

გია ახალაძე

ისევე, როგორც ძველად ელადაში

იწყება საქართველოს სპორტული თამაშები

ძველ ათენში, ანტიკური ოლიმპიადების დროს პოლიტიკური ვნებები ცხრებოდა, წყდებოდა სისხლისღვრა და თუნდაც დროებით, სამოქალაქო სიმშვიდე მყარდებოდა. დღეს, ახალ საქართველოში, რესპუბლიკის 1991 წლის სპორტული თამაშების ფინალები იწყება. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი დაპირისპირებულ მხარეებს მოუწოდებს და იმედს გამოთქვამს, რომ ეროვნული ინტერესებისა და ოლიმპიური მოძრაობის იდეალებიდან გამომდინარე, თუნდაც თამაშების 20-დღიანი მონაკვეთის განმავლობაში დამყარდება სიმშვიდე და ეს დრო მოლაპარაკებასა და თანხმობის მიღწევას მოხმარდება.

მსოფლიო ოლიმპიური თამაშების წინა წლებში, ყველა ქვეყანაში ტარდება შიდა, ეროვნული შეჯიბრებები, რომელთა მიზანია ოლიმპიადაზე წარსაგზავნ, უძლიერეს სპორტსმენთა შერჩევა. სეოკმა ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში, მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება. მაშინ ქართული სპორტი საბჭოთა სტრუქტურებში იყო. წელს, ივნისში ეს გადაწყვეტილება მთავრობის შესაბამისმა დადგენილებამ გაამაგრა. თამაშებს, რომლის ორგანიზატორია სეოკი და რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, სპორტის ოლიმპიური და რამდენიმე ეროვნული (ჭიდაობა, ლელო, ცხენოსნობა) სახეობის გარდა ის სახეობებიც შეემატა, რომლებშიც ჩვენი სპორტსმენები წარმატებებს აღწევენ. ესენია: რაგბი, ბატუტზე ხტომა, აკრობატიკა, სამბო და კლდეზე ცოცვა. საბოლოოდ, ფინალები 40 სახეობაში გაიმართება.

წინასწარი შეჯიბრებები 13 რეგიონალურ ზონაში ჩატარდა. ეს ის რეგიონებია, სადაც უახლოეს მომავალში სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ქვედანაყოფები — სამმართველოები ამოქმედდებიან. აღსანიშნავია, რომ მიწისძვრით დაზარალებული რაიონების გუნდების დაფინანსება და აღჭურვა სეოკმა იკისრა. შეჯიბრებები ნორმალურად ჩატარდა, თუმცა არცთუ უზადოდ, რადგან რაიონებში სპორტულ ორგანიზაციათა სისტემა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. გარდა ამისა, მათი მოქმედება ცუდად იყო შეთანხმებული პრეფექტებთან, არადა ქართული სპორტის მესვეურთ მომავალში სწორედ პრეფექტების დიდი მხარდაჭერის იმედი აქვთ.

ფინალები 12 ქალაქში გაიმართება. თბილისში ჩატარდება შეჯიბრებები მძლეოსნობაში, წყალბურთში, წყალში ხტომაში, ბატუტზე ხტომაში, ფარიკაობაში, კეტბურთში, კლდეზე ცოცვაში, ცურვაში, ჩოგბურთში, სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში, ველოსპორტში, ხუთჭიდში, ხელბურთში, კალათბურთში, სინქრონულ ცურვაში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, ტყვიის სროლაში, დაკრობატიკაში; ქუთაისში: ძიუდოში, ბალახის ჰოკეიში და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; სოხუმში: მაგიდის ჩოგბურთში და მშვილდოსნობაში; ბათუმში — ბადმინტონში; ფოთში: კრივში, ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში, აფროსნობაში და ნიჩბოსნობაში; თელავში: ძალოსნობაში, ფრენბურთში (ვაჟები) და ხელბურთში; წყალტუბოში — ჭადრაკში; რუსთავში — რაგბიში; ოზურგეთში — სტენდზე სროლაში; ხელვაჩაურში — ლელოში; ტყიბულში — ჭიდაობაში; სამტრედიაში — ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში.

დაგზავნილი მოწვევების შედეგად, მოსალოდნელია, რომ 7-8 სახეობაში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრიელები, თურქები, ბალტიისპირელები, რუსები, სომხები და უკრაინელები.

საპრიზო ფონდი 1 მილიონ 400 ათას მანეთს შეადგენს. გამარჯვებულები და მათი მწვრთნელები მიიღებენ 1 000 მანეთს, პრიზიორები 600 და 400 მანეთს. ფულად პრიზებს მიიღებენ გუნდური სახეობების ლაურეატები და მათი მწვრთნელები, აგრეთვე უცხოელი სპორტსმენები.

ბავშვები კი იგებენ და იგებენ

წლეულს აგვისტოში 1975 წელს „დაბადებულ ფეხბურთელთა ტურნირზე, რომელიც ესტონეთის ქალაქ ტარტუში ჩატარდა, საქართველოს გუნდმა გაიმარჯვა. 4—6 ოქტომბერს ტარტუში კიდევ ერთი ტურნირი ჩატარდა, ამჯერად 1979 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შორის. ქალაქს სპორტკომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ჰილარ ოტომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გამოუგზავნა მოწვევა. ტურნირში მასპინძელთა, ტარტუს საფეხბურთო კლუბ „ტამაკას“ გარდა მონაწილეობდნენ ტალინის, პიარნუს, მიკელის (ფინეთი), ვილნიუსის და თბილისის გუნდები. „ნორჩმა იბერიელმა“ პირველ შეხვედრაში მოუგო ვილნიუსის „ჟალგირისს“ 4:3. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე თბილისელები აგებდნენ — 2:3, მაგრამ რამაზ შენგელიას ვაჟის, გიორგის მიერ გატანილმა ორმა გოლმა გამარჯვება იბერიას მოუტანა. მეორე და მესამე შეხვედრა ტალინისა და პიარნუს გუნდებთან დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 5:0. მეოთხე მატჩი ფინელ ფეხბურთელებთან „იბერიამ“ კვლავ დიდი ანგარიშით 7:0 მოიგო. გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველ ფეხბურთელებს მასპინძელთა გუნდი შეხვდა. თავიდან „იბერიელებმა“ ორი გოლი გაიტანეს, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს მათი გაქვითვა. გადამწყვეტი გოლი კვლავ გიორგი შენგელიამ (იგი 9 ბურთით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა) გაიტანა. „ნორჩმა იბერიელმა“ პირველი ადგილი ლდაიკავა. ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად თბილისელი რატი ალექსიძე აღიარეს.

ქართულ გუნდს ტარტუში ახლდნენ დელეგაციის ხელმძღვანელები: რამაზ შენგელია, გაიოზ დარსაძე, რომან რამიშვილი, „ნორჩი იბერიელის“ სკოლის დირექტორი ომარ უშვერიძე, მწვრთნელები: თენგიზ ჩარკვიანი და გივი ლომიძე.

ილია ბაბუნაშვილი

ევროპის ჩემპიონატი

IV ჯგუფი

ავსტრია — დანია 0:3

დანიის ნაკრებმა სტუმრად მოუგო ავსტრიის ნაკრებს და სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს. მიუხედავად ამისა, ჯგუფში გამარჯვების რეალურ შანსს იუგოსლავიის ნაკრები ინარჩუნებს.

16 ოქტომბერს ორი მატჩი გაიმართება: ფარერის კუნძულები—იუგოსლავია, ჩრდ.ირლანდია-ავსტრია.

დანია	7	5	1	1	16-6	11
იუგოსლავია	6	5	0	1	20-4	10
ჩრდ.ირლანდია	6	1	3	2	8-8	5
ავსტრია	6	1	1	4	5-10	3
ფარერის კ-ბი	7	1	1	5	3-24	3

VI ჯგუფი

ფინეთი—საბერძნეთი 1:1

ბერძნებმა ფინეთში მხოლოდ ერთი ქულის აღება მოახერხეს და კვლავ მეოთხე ადგილზე დარჩნენ, თუმცა დაკარგული ქულებით ჰოლანდიისა და პორტუგალიის ნაკრებებს გაუთანაბრდნენ.

16 ოქტომბერს ერთმანეთს ჯგუფის ლიდერები — ჰოლანდიელები და პორტუგალიელები ხვდებიან.

ჰოლანდია	6	4	1	1	14-2	9
პორტუგალია	6	4	1	1	10-3	9
ფინეთი	7	1	4	2	5-6	6
საბერძნეთი	4	2	1	1	8-5	5
მალტა	7	0	1	6	1-22	1

ფეხბურთის რუკასთან

საფრანგეთის ერთ-ერთმა ყველაზე სახელგანთქმულმა კლუბმა „რეიმსმა“ არსებობა შეწყიტა. „რეიმსს“, რომელიც 6-ჯერ იყო საფრანგეთის ჩემპიონი და ორჯერ მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში, 48 მილიონი ფრანკი დავალიანება აქვს. ზაფხულში საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის გადწყვეტილებით „რეიმსი“ მეორედან მესამე ლიგაში გადაიყვანეს.

იტალიის „ფიორენტინას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. გუნდს სათავეში ჩაუდგა ჯიჯი რადიჩე, რომელმაც ბრაზილიელი სებასტიანო ლაზარონი შეცვალა. „ფიორენტინამ“ გაათავისუფლა ლაზარონი, რომლის ხელმძღვანელობით გუნდმა ჩემპიონატის პირველ 5 მატჩში მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა.

აშშ-ის გუნდმა „სან-დიეგო სოკერზმა“ მოლაპარაკება დაიწყო არგენტინელ ფეხბურთელთან დიეგო მარადონასთან. კლუბის გენერალური მენეჯერი ოსკარ ანხირა არგენტინაში ჩავიდა, რაცაა ფეხბურთელის წარმომადგენლებს შეხვდეს და მარადონა გადაბიროს. მარადონას ფიფა-ს გადწყვეტილებით 15 თვით აეკრძალა ოფიციალურ მატჩში მონაწილეობის მიღება.

ინგლისელ ფეხბურთელს პოლ გასჭოინს ტრავმირებულ მუხლზე კიდევ ერთი ოპერაციის გადატანა მოუწია. „გაზამ“ მუხლი დაიზიანა ნოუკასლის ბარში ამტყდარი ჩხუბის დროს. ამ ტრავმამ შესაძლოა კიდევ ორი თვით გადაწიოს გასჭოინის იტალიის „ლაციოში“ გადასვლის დრო.

იაპონია უმასპინძლებს 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატს 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის. ჩემპიონატი, რომელშიც 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, 20 აგვისტოს დაიწყება და 5 სექტემბერს დამთავრდება.

გერმანიის ნაკრებმა საქველმოქმედო მატჩი გამართა მსოფლიოს ნაკრებთან და მოიგო ანგარიშით 3:1. გერმანელთაგან გოლები გაიტანეს: ბაიერსდორფმა, ეფენბერგმა და არგენტინელმა რუჯერიმ (საკუთარ კარში). ამ შეხვედრაში მუხლის ტრავმა მიიღო ანდრეას ბრემმ, რომელიც მონაწილეობას ვეღარ მიიღებს ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩში, უელსის ნაკრებთან 16 ოქტომბერს.

„ბაიერნმა“ მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა იუპ ჰაინკესი, რომელიც გუნდს ოთხი წელიწადის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ახალ მწვრთნელად დაინიშნა დანიელი სორენ ლერბიუ.

მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ მწვრთნელად დაინიშნა 38 წლის იურგენ გელსდორფი. იგი შარშან ლევერკუზენის „ბაიერს“ წვრთნიდა.

საფრანგეთის „ოსერი“ აპირებს უეფას თასის მეორე წრის მატჩი ინგლისის „ლივერპულთან“ პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე ჩაატაროს. „ოსერის“ ხელმძღვანელობის აზრით, ქალაქ ოსერის სტადიონი ვერ პასუხობს უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ევროპის საკლუბო ტურნირები

8 ოქტომბერს გაიმართა უეფას თასის გათამაშების შვიდი საპასუხო მატჩი, რომელთა შედეგები „სარბიელის“ წინა ნომერში ვერ მოხვდა: „სპარტაკი“ (სსრკ) — „მიკელი“ (ფინეთი) 3:1 (2:0), „კანი“ (საფრანგეთი) — „შალგეირუში“ (პორტუგალია) 1:0 (0:1) პ.-4:2, „ტორინო“ (იტალია) — კრრიკვავიკი (ისლანდია) 6:1 (2:0), „ესტერი“ (შვეიცია) — „ლიონი“ (საფრანგეთი) 1:1 (0:1), „პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „ხიხონი“ (სსპანეთი) 2:0 (0:2) პ.-2:3, აეკ (საბერძნეთი) — „ვლაჭნია“ (ალბანეთი) 2:0 (1:0), „ჭენოა“ (იტალია) — „ოვიედო“ (სსპანეთი) 3:1 (0:1).

ევროპული ტურნირების კენჭისყრა

ჩემპიონთა თასი
მერვედფინალი

„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „გიოტებორგი“ (შვეცია)
„მარსელი“ (საფრანგეთი) — „სპარტა“ (ჩეხეთსლოვაკეთი)
„ეინდჰოვენი“ (პოლანდია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია)
„დინამო“ (კიევი) — „ბრონდბიუ“ (დანია)
„პონზედი“ (უნგრეთი) — „სამპდორია“ (იტალია)
„მარსელონა“ (სსპანეთი) — „კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია)
„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „არსენალი“ (ინგლისი)
„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „აპოელი“ (კვიპროსი)

თასების მფლობელთა თასი
მერვედფინალი

„პორტუ“ (პორტუგალია) — „ტოტენჰემი“ (ინგლისი)
„ატლეტიკო“ (მადრიდი, სსპანეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი)
„გკს (პოლონეთი) — „ბრიუგე“ (ბელგია)
„რომა“ (იტალია) — „ილვესი“ (ფინეთი)
„სიონი“ (შვეიცარია) — „ფეიენოორდი“ (პოლანდია)
„ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „ვერდერი“ (გერმანია)
„ნორჩპინგი“ (შვეცია) — „მონაკო“ (საფრანგეთი)
„გალათასარაი“ (თურქეთი) — „ჭანიკი“ (ჩეხეთსლოვაკეთი)

უეფას თასი
მეთექვსმეტედფინალი

„ბკ-1903“ (დანია) — „ბაიერნი“ (გერმანია)
„უტრეხტი“ (პოლანდია) — „რეალი“ (მადრიდი, სსპანეთი)
„გენტი“ (ბელგია) — „აინტრახტი“ (გერმანია)
„ესამაქსი“ (შვეიცარია) — „სელტიკი“ (შოტლანდია)
„სიგმა“ (ჩეხეთსლოვაკეთი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)
„ოსასუნა“ (სსპანეთი) — „შტუტგარტი“ (გერმანია)
„ტორინო“ (იტალია) — „პოაეიშტა“(პორტუგალია)
„ლიონი“ (საფრანგეთი) — „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი)
„დინამო“ (მოსკოვი) — „კანი“ (საფრანგეთი)
პაოკ (საბერძნეთი) — „ტიროლი“ (ავსტრია)
„ოსერი“ (საფრანგეთი) — „ლივერპული“ (ინგლისი)
„ხიხონი“ (სსპანეთი) — „სტიაუა“ (რუმინეთი)
„ვენნა“ (იტალია) — „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი)
აეკ (საბერძნეთი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)
„ეინტრაქტი“ (გერმანია) — ცსკა (ბულგარეთი)
„როტ-ვაისი“ (გერმანია) — „აიაქსი“ (პოლანდია)

შენიშვნა: პირველი მატჩები 23 ოქტომბერს გაიმართება წყვილებში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე, ხოლო საპასუხო შეხვედრები შედგება 6 ნოემბერს.

სულ ცოტა ხნის წინ ეს ორი უდიდესი სპორტსმენი ალენ პროსტი (მარჯვნივ) და აირტონ სენა ერთმანეთ გუნდის, „მაკლარენ-ჰონდას“ ღირსებას იცავდა.

პროსტს სიბერისა არ სჯერა

ფორმულა 1-ის პილოტებს შორის არის ერთი, რომელსაც არა მარტო ამხანაგები, არამედ მეტოქეებიც კარგი ხანია პატივისცემით „პროფესორს“ ეძახიან. ეს გახლავთ ფრანგი მრბოლი ალენ პროსტი. მას ეს სახელი შეარქვეს ტრასაზე უზუსტესი გაანგარიშებისათვის, ტექნიკის შესანიშნავი ცოდნისათვის, ნებისყოფისა და ძალების სრული კონცენტრირების უნარისათვის. რბოლისას, როცა ბოლიდის სიჩქარე თითქმის 300 კილომეტრია წამში. ყველაფერ ამის წყალობით ჩინებულმა პილოტმა ფორმულაში ასპარეზობის 12 წლის მანძილზე შესძლო ყველაზე მეტი — 44 ეტაპის მოგება. ასეთი შედეგი სხვებს არც კი დაესიზმრება.

პროსტი ამჟამად შვეიცარიაში ცხოვრობს, ხოლო იცავს იტალიური გუნდის „ფერარის“ ღირსებას, რომელიც მუდამ შედიოდა მსოფლიო საავტომობილო ელიტაში. წლევანდელ ჩემპიონატშიც „ფერარის“ გულშემატკივრები თავისი კერპების წარმატებას ელოდნენ. მაგრამ მთელი სეზონი მარცხი მარცხზე მოსდიოდათ და საბოლოოდ გუნდის გამოსვლა შეფასდა, როგორც უდიდესი ჩავარდნა. აგებდა პროსტი, აგებდა „ფერარის“ მეორე წევრი, ასევე ფრანგი ჟან ალეზი, რომელზეც თავიდან დიდ იმედებს ამყარებდნენ. მათი ყოველ ცდა გუნდის პრესტიჟის აღსადგენად, უშედეგო იყო. ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა და „ფერარისაც“ წარმატების ყოველგვარი იმედი გადაეწურა.

36 წლის პროსტმა დაასახელა ამის მიზეზი, რომლებიც მისი აზრით, ხელს უშლის „ფერარის“ პილოტებს ნორმალურად გამოსვლაში. „პროფესორის“ სიტყვით, ერთ-ერთია გუნდში შექმნილი ცუდი ფსიქოლოგიური ატმოსფერო, უპირველესად მის გარშემო. „ზოგიერთმა იჩქარა ჩემი ცოცხლად დამარხვა, — ამბობს პროსტი. — მე რატომღაც ეგოისტად მთვლიან, თუმცა ასეთი არასოდეს ვყოფილვარ. ბოლიდის საჭესთან ვჯდები არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ გუნდისა და გულშემატკივრებისთვისაც. არავის ესმის, რომ რისკზე მარტო ჩემი სიამოვნებისათვის, როდი მივდივარ. ყოველთვის ვცდილობდი რბოლისათვის განსაკუთრებული ელფერის, თუნდაც ინტრიგის მისაცემად. მე ახლაც ასეთი დავრჩი“.

პროსტის თქმით, ის, ალეზი და მთლიანად გუნდი ამჟამად აღარ გრძნობენ ხელმძღვანელობისაგან უწინდელ ყურადღებასა და მზრუნველობას. ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული. ტექნიკური აღჭურვილობა სავალალო მდგომარეობაშია. „ჩვენ ყველაფრის საკუთარი ხელით გაკეთება გვიხდება, რადგან ტექნიკოსებსა და მექანიკოსებზე მთლიანად დაყრდნობა შეუძლებელია მათი დაბალი პროფესიული დონის გამო. ამაზე კი არავინ ფიქრობს. ავტოდრომს ყოველდღე საღამოს 9-10 საათზე ვტოვებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი შეცდომა მოხდება, რამაც რბოლის დროს შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს. მე კი მინდა სახლში 4-5 საათზე მივიდე, გოლფი ვითამაშო, სული მოვითქვა და ტრასაზე დასვენებული დავბრუნდე. მაგრამ, ყოველივე ამას მოკლებული ვარ“.

ბოლო დროს „ფერარის“ ხელმძღვანელობამ არაერთხელ განაცხადა, რომ ამბიციური პროსტი „თავს გავიდა“, აღარავის უჯერებს და შესაძლებელია დაშორდნენ კიდეც მას. თვითონ პილოტი ამაზე საკმაოდ მშვიდად რეაგირებს: „მე მზად ვარ დღესვე წავიდე, თუ კი ეს უშველის გუნდს, მაგრამ მიზეზები ჩემში კი არ უნდა ეძიონ, სამაგალითოდ უნდა გაიხადონ „უილიამსსა“ და „მაკლარენში“ მუშაობის ორგანიზება“. ამასთან, პროსტი არ მალავს, რომ შესაძლებელია მისი გადასვლა ერთ-ერთ ამ გუნდში. მით უმეტეს, რომ ხმები დადის, თითქოს „ფერარის“ პატრონებს სურვილი აქვთ თავის „საჯინიბოში“ იხილონ აირტონ სენა „მაკლარენიდან“.

ამასობაში კი ბრაზილიელმა აირტონ სენამ უარყო ხმები იმის თაობაზე, თითქოს გაისად „მაკლარენიდან“ წასვლას აპირებდა. თავისი გადაწყვეტილება მან მეტად დამაჯერებელი ჟესტით გამოხატა. პორტუგალიის ქალაქ ეშტორილში ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპის დამთავრებისთანავე, სენამ და მისმა თანაგუნდელმა, ავსტრიელმა გერჰარდ ბერგერმა კიდევ ერთი წლით გაგრძელეს კონტრაქტი „მაკლარენ-ჰონდასთან“. ამის შესახებ ჟურნალისტებს დიდი სიხარულით აუწყა „მაკლარენის“ დირექტორმა რონ დენისმა.

— მოლაპარაკება მეტად სასიამოვნო სიტუაციაში მიმდინარეობდა და ვფიქრობ, ეს დადებითად იმოქმედებს ჩვენს საბოლოო გამარჯვებაზე წლევანდელ ჩემპიონატში. — განაცხადა დენისმა.

სენა, რომელიც მეხუთე წელია „მაკლარენ-ჰონდას“ სახელით გამოდის 1988 და 1990 წლებში ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. იგი დღესაც დიდი უპირატესობით ლიდერობს წლევანდელ პირველობას. ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ შეიძლება დუბლიც გაკეთდეს — სენა უზრუნველყოფს კონსტრუქტორთა ჩემპიონატის მოგებასაც. თავის კმაყოფილებას არ მალავს იაპონური ფირმა „ჰონდას“ პასუხისმგებელი წარმომადგენელი აკიმაცა იასუოკა: „სენას გადაწყვეტილება, რომ კვლავ ჩვენს გუნდში დარჩეს, საშუალებას მოგვცემს კიდევ ერთი საფეხურით ზევით ავიწიოთ. ამას წინათ ჩვენ სიჩქარეების ახალი ნახევრად ავტომატური კოლოფი გამოვცადეთ. შედეგი მეტად იმედიანია. მომავალ სეზონში ამ კოლოფებს ჩვენს ბოლიდებზე დავაყენებთ. დარწმუნებული ვართ, რომ სენასა და ბერგერის ოსტატობა ახალ ტექნიკასთან შერწყმით შემდგომშიც დიდ წარმატებებს მოგვიტანს“.

ზალვა შალოლაშვილი

ფეხბურთი

80-წლიანი ისტორია

Österreichischer Fussball-Bund
დაარსდა 1904 წელს

FIFA — 1905 UEFA — 1955
აერთიანებს 1990 კლუბს

ავსტრიული ფეხბურთი იუბილეს ზეიმობს. ზუსტად 80 წლის წინათ, 1911 წლის სექტემბერში დაიწყო პირველი ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც ქვემოავსტრიის მიწათა კავშირის ეგიდით ჩატარდა. ავსტრიის პირველი ჩემპიონი ვენის „რაპიდი“ გახდა.

თუმცა პირველი საფეხბურთო კლუბები ქვეყანაში გაცილებით ადრე შეიქმნა და კალენდარული შეჯიბრების ჩატარებას ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ცდილობდნენ. ავსტრიულმა ფეხბურთმა სწრაფი განვითარება მხოლოდ ჩვენს საუკუნეში დაიწყო, მას მერე, რაც მან „დაბადების მოწმობა“ მიიღო. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყეს პირველი პროფესიული კლუბების შექმნა, 20-იანი წლების დასაწყისში კი ამ კლუბებში პირველი „ლეგიონერებიც“ გამოჩნდნენ. ისინი ძირითადად მეზობელი უნგრეთიდან იყვნენ. დღეს ავსტრიულ კლუბებში უცხოელთა ყოფნა ჩვეულებრივი ამბავია.

კლუბებიდან ყველაზე სახელოვანი ისტორია ვენის „რაპიდს“ აქვს. მან ეროვნულ ჩემპიონატებში 29-ჯერ გაიმარჯვა. მეორე მაჩვენებელი დედაქალაქის „აუსტრიას“ აქვს — 19 გამარჯვება. სხვათაშორის ავსტრიული ფეხბურთის შედეგიანობის რეკორდიც სწორედ ამ კლუბებს ეკუთვნის. 1950-1951 წლების სეზონში „რაპიდმა“ 133 გოლი გაიტანა, „აუსტრიამ“ კი 1941 წლის თებერვალში საკუთარ მოედანზე „გაანადგურა“ „ლასკი“ — 21:0. „აუსტრიას“ ეკუთვნის ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებათა ყველაზე ხანგრძლივი სერიაც — 1978-81 წლებში მან ოთხჯერ ზედიზედ მოიგო.

ავსტრიული ფეხბურთის საუკეთესო პერიოდად დღემდე ოცდაათიანი წლები ითვლება. იმ დროის ეროვნულ ნაკრებებს შემომხილველებმა „ვუნდერტიმი“ (საოცარი გუნდი) შეარქვეს და ის გუნდი მართლაც საოცრად ძლიერი იყო. 1931 წლის 12 აპრილიდან 1934 წლის 7 ივნისამდე მან 31 მატჩი ჩაატარა, მოიგო 20, ფრედ დაამთავრა 7 და წააგო 4. ბურთების შეფარდება იყო 97:43. „ვუნდერტიმს“, რომელსაც ბრწყინვალე სპეციალისტი ჰუგო მეიზელი ხელმძღვანელობდა და რომლის შემადგენლობაშიც თამაშობდა მსოფლიო კლასის ფორვარდი მატიას სინდელარი (მან ნაკრებში ჩაატარა 43 მატჩი და გაიტანა 28 გოლი), იტალიის 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად თვლიდნენ. ავსტრიელები ნახევარფინალში სწორედ მასპინძლებთან დამარცხდნენ (0:1) და მათი ოცნება, მოეპოვებინათ „ოქროს ქალღმერთი“ განუხორციელებელი დარჩა.

შემდეგ ავსტრიულ ფეხბურთში „შავი“ კრიზისი დაიწყო, რომლიდანაც მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყეს გამოსვლა. პირველი ომისშემდგომი ჩემპიონი „რაპიდი“ გახდა, მაგრამ ამ დროისათვის დედაქალაქის საფეხბურთო ჰეგემონიას ბოლო ეღება. ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში უკვე ფედერალურ მიწათა გუნდებიც ერთვებიან. „ლასკი“ იყო პირველი გუნდი, რომელმაც ვენის გრანდები კვარცხლბეკიდან ჩამოაგდო. ეს მოხდა 1964-65 წლების ჩემპიონატში.

დღევანდელ იუბილეს მომწარო გემოც დასდევს. იგი ავსტრიული ფეხბურთისათვის ახალ მძიმე პერიოდს დაემთხვა. ნაკრებმა პრაქტიკულად დაკარგა ევროპის 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი, თუმცა უნდა ვივარაუდოთ კარგი დღეები კვლავ არაერთხელ დადგება.

შალვა მიხელიძე

არც ერთი პასი უკან

1994 წელს ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართება, მოთამაშეებს აეკრძალებათ ბურთის უკან, თავისი მეკარისათვის მიწოდება. ამის შესახებ ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო ავალანჟმა განაცხადა მიუნხენში.

ახალ წესებთან დაკავშირებით ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა აღნიშნა, რომ სიახლე შეამოწმეს ჭაბუკ ფეხბურთელთა ამასწინანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე და დადებითი შედეგი მიიღეს. „თამაში გაცილებით მიმზიდველი გახდა, — თქვა ბლატერმა, — მეკარეებს დრო იოლად ველარ გაჰყავთ.“

ავალანჟმა აგრეთვე აღნიშნა, რომ 1994 წლის ჩემპიონატის მატჩებს მოემსახურებიან მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალი მსაჯები.

როდესაც სიტყვა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სავარაუდო მასპინძელზე ჩამოვარდა, ფიფა-ს პრეზიდენტმა თქვა: „თუ 1998 წელს შეჯიბრება ევროპაში ჩატარდება, მაშინ მომდევნო აზიაში უნდა გაიმართოს. ჩვენ უკვე გვაქვს იაპონიის განაცხადი. იგი ყველაზე აქტიური პრეტენდენტია, თუმცა საინტერესოა სამხრეთ კორეის, მალაიზიის, ჩინეთისა და საუდის არაბეთის კანდიდატურებიც.“

ჩოგბურთი

მიჰაელ შტიხი

დაუსწრებელი ინტერვიუ-კოლაჟი


მიჰაელ შტიხი

სულ რაღაც ნახევარი წლის წინ მიჰაელ შტიხის სახელი გერმანიის ფარგლებგარეთ მხოლოდ ჩოგბურთის თითო-ოროლა ქომაგისათვის თუ იყო ცნობილი. მართლაც, თუ ჩოგბურთის სპეციალისტობაზე არ სდებ თავს, რით უნდა დააინტერესოს სპორტსმენმა, რომელსაც მსოფლიოს ძლიერეს ჩოგბურთის ოსტატთა სიაში 40 საუკეთესოთა შორისაც არ უკავია ადგილი. წელიწადნახევარის წინ, 1989 წლის მიწურულს, შტიხი რეიტინგ-ლისტში მე-100 საფეხურზე იდგა. აი, მაშინ რომ მომეწადინებინა მასთან ინტერვიუს აღება, დარწმუნებული ვარ, ამას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოვახერხებდი. დღეს ვითარება სრულიად სხვაგვარია: მიჰაელ შტიხი მსოფლიოს მე-4 ჩოგანია და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აგერ უკვე თითქმის სამი თვეა უიმბლდონის ჩემპიონის ტიტულს ატარებს. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ეს წოდება საჩოგბურთო სამყაროში დღესდღეობით ყველაზე პრესტიჟულია?

ცხოვრება ასეა მოწყობილი — მაშინ, როდესაც შტიხთან შეხვედრა არავითარ პრობლემასთან არ იყო დაკავშირებული, მისთვის ინტერვიუს თხოვნა აზრადაც არავის მოსვლია, ახლა კი უიმბლდონის ჩემპიონი თუნდაც ხუთი წუთით რომ მოიხელთო, ათასგვარი წინააღმდეგობა უნდა დასძლიო. როცა შევიტყვე, შტუტგარტის ტურნირში გამარჯვების შემდეგ შტიხი ორკვირიან დასვენებას უწყობს თავსო, მასთან შეხვედრის იმედი გამიჩნდა. ეს იმედი გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციაში გადამიწურეს: მიჰაელი გადაღლილია (შტუტგარტის ტურნირი მე-16 იყო მისთვის მიმდინარე სეზონში) და დასასვენებლად ისეთ ადგილას გაემგზავრა, სადაც ვერავინ იპოვისო.

მართალი გითხრათ, შებნა არც მიცდია. გადავწყვიტე შტიხის ტელე თუ რადიო ინტერვიუების, გერმანულ პრესაში მასზე გამოქვეყნებული მასალების გამოყენებით ერთგვარი ინტერვიუ-კოლაჟი მომემზადებინა და „სარბიელის“ მკითხველთათვის ამ გზით გამეცნო საჩოგბურთო სეზონის ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი.

— როდის და სად დაიბადეთ?

— 1968 წლის 18 ოქტომბერს ჰამბურგთან მდებარე პატარა ქალაქ პინებერგში.

— ახლა სად ცხოვრობთ?

— მიუნხენის შემოგარენ ბოვენჰაუზენში, ოროთახიან ბინაში.

— თქვენი მშობლები რას საქმიანობენ?

— მამა ავტომანქანების ტექნიკური გამართულობის შემმოწმებელი ორგანიზაციის თანამშრომელია. დედა დიასახლისი მყავს. ორივე 52 წლისანი არიან.

— და-ძმა თუ გყავთ?

— მყავს ორი უფროსი ძმა: ტორსტენი 28 წლისაა, ანდრეასი — 23-ის.

— ერთი წლის წინ მსოფლიო რეიტინგ-ლისტში 73-ე ადგილი გეკავათ. დღეს ამ სიაში მე-4 საფეხურამდე ამაღლდით. ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ მალე სულაც სათავეში მოექცევით მას...

— არა მგონია ეს ძალიან მალე მოხდეს. ჯერ ერთი, ქულათა სხვაობა ჩემსა და ბორის ბეკერს, ჩემსა და სტეფან ედბერგს, თუნდაც ჩემსა და ივან ლენდლს შორის მეტად დიდია. გარდა ამისა, სამივე ამ ჩოგბურთელს ჯერ თამაშის დონითაც საგრძნობლად ჩამოვრჩები.

— გამოდის, რომ საკუთარი სისუსტეები თავად თქვენ გეცოდინებათ. კერძოდ რომელი კომპონენტების სრულყოფას ფიქრობთ?

— უპირველეს ყოვლისა ფიზიკური მომზადება უნდა გავიუმჯობესო. აშკარად მაკლია გამძლეობა, ზოგჯერ სისწრაფეც. სწორედ ამიტომ ჩემმა მწვრთნელმა მარკ ლუისმა და მე ზამთარში უდიდესი ყურადღება დავუთმეთ ამ მხარეს. შედეგმაც, როგორც ხედავთ, არ დააყოვნა.

— მარკ ლუისს, თქვენს ახალზელანდიელ მწვრთნელს, უიმბლდონში გამარჯვების შემდეგ არაერთი საქებარი სიტყვა მიუძღვენით...

— მარკი ნამდვილი პროფესიონალია. ბევრი ჩემი კოლეგა ამტკიცებს, დღეში 4-5 საათს ვვარჯიშობო. ხშირად ამ 5 საათიდან 3 მხოლოდ იმიტაციაა, სიმულაციაა ვარჯიშისა. ამას საკუთარი გამოცდილებით ვგრძნობ. მარკმა მასწავლა, რომ შეიძლება დღეში ორსაათიანი ვარჯიშითაც საუკეთესო სპორტულ ფორმას მიაღწიო. ცხადია ინტენსიური, უაღრესად კონცენტრირებული ვარჯიშით.

— დიდი გამარჯვებების შემდეგ ჩოგბურთელებს ხშირად კრიზისული პერიოდი უდგებათ, მით უმეტეს, თუ ეს გამარჯვება მოულოდნელი იყო. ასე დაემართათ იანიკ ნოას, პატ კეშს, ან, სულ ახლახანს, პიტ სამპრასს. ხომ არ გეშინიათ, რომ შეიძლება თქვენც დაგიდგეთ დამარცხების ხანა?

— არც მეშინია და არც ის მგონია, რომ ამიერიდან აღარც ერთ შეხვედრას წავაგებ. რა თქმა უნდა კიდევ ბევრჯერ დავმარცხდები, ზოგიერთ ტურნირს, ალბათ, პირველ წრეშიც გამოვეთიშები. ამაში ტრაგიკული არაფერია. მომავალი სეზონი საერთოდ მეტად მძიმე იქნება ჩემთვის. მომიწევს დავამტკიცო, რომ წლევანდელი წარმატებები შემთხვევითი არ ყოფილა.

— წლევანდელმა წარმატებებმა, გარდა იმისა, რომ მსოფლიო სპორტულ ელიტაში შეგიყვანათ, ერთბაშად გაქციათ მდიდარ კაცად. მარტო ტურნირებში მონაწილეობამ და, ცხადია, გამარჯვებებმა წლეულს უკვე მილიონ დოლარზე მეტი მოგიტანათ. კიდევ ორი ამდენი სარეკლამო კონტრაქტებმა შეგძინათ. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის სპორტის ფინანსური მხარე?

— რომ გითხრათ, ფული საერთოდ არ მაინტერესებს-მეთქი, გულწრფელიც არ ვიქნები და, ალბათ, არც თქვენ დამიჯერებთ, მაგრამ ჩოგბურთში ჩემთვის მაინც სპორტული მხარეა გადამწყვეტი. სარეკლამო კონტრაქტების შერჩევაში საკმაოდ ფრთხილი, ზოგჯერ ჭირვეულიც კი ვარ, თორემ ყველა კონტრაქტს, რომელსაც მთავაზობენ, ხელს რომ ვაწერდე, ახლა მილიონერი ვიქნებოდი.

— ბორის ბეკერთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— უახლოესი მეგობრები არ გვეთქმის, მაგრამ მშვენივრად გვესმის ერთმანეთის. ბორისი ბრწყინვალე ჩოგბურთელია. და სადღეისოდ იგი სრულიად დამსახურებულად ატარებს მსოფლიოს პირველი ჩოგანის წოდებას. 1985 წელს, როდესაც მან პირველად გაიმარჯვა უიმბლდონის ტურნირში, მე ჯერ კიდევ სკოლაში დავდიოდი. მაშინ ვინმეს რომ ეთქვა, ექვსი წლის შემდეგ უიმბლდონის ფინალში შენ და ბორისი შეხვდებით ერთმანეთოს, ან გიჟად ჩავთვლიდი, ან უკბილო ხუმრობად მივიჩნევდი. მისგან ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი, თუმცა მისი მიბაძვა არასოდეს მიცდია და არც მომავალში ვაპირებ.

— მიუხედავად მისდამი ასეთი პატივისცემისა შტუტგარტის ტურნირში თქვენ უარი განაცხადეთ ბეკერთან ერთად წყვილთა ასპარეზობაში გეთამაშათ. რა იყო ამის მიზეზი?

— დევისის თასის გუნდში, ჩვენმა ხელმძღვანელმა ნიკი პილიჩმა გადაწყვიტა ბორისი და მე წყვილში ერთად გვათამაშოს. იმისათვის, რომ ამერიკელებთან ნახევარფინალური შეხვედრის წინ, რომელიც სექტემბრის მიწურულს კანზას-სიტიში გაიმართა, სათამაშო პრაქტიკა მიგვეღო. პილიჩის გეგმით შტუტგარტში ერთად უნდა გვეთამაშა. ჩემთვის მას არაფერი არ უკითხავს, არადა ამ ასპარეზობაში უდო რიგლევსკისთან ერთად ვაპირებდი გამოსვლას. გარდა ამისა, რომ უდო ჩემი ახლო მეგობარია, იგი კარგა ხანია ჩემი პარტნიორიც არის. პილიჩს შეჯიბრებების დაწყებამდე თუნდაც ორი კვირით ადრე მაინც რომ გავეფრთხილებინე, უდოს როგორღაც მოველაპარაკებოდი. ორი დღით ადრე კი აბა როგორ უნდა მეთქვა მისთვის, მაპატიე, მაგრამ ამ ტურნირში შენთან ერთად ვერ ვითამაშებ-მეთქი? საბოლოოდ ყველაფერი მოგვარდა, ბეკერმა საერთოდ გადაიფიქრა შტუტგარტში ჩამოსვლა.

— რა არის თქვენი უმთავრესი მიზანი სპორტში?

— ოლიმპიური ოქროს მედალი. ოლიმპიადა ჩემთვის „გრენდ სლემის“ ნებისმიერ ტურნირზე გაცილებით მნიშვნელოვანი ასპარეზობაა, მასში მონაწილეობა უკვე თავისთავად არის დიდი ბედნიერება.

— რომელი ქალაქი გიყვართ ყველაზე მეტად?

— ლონდონი, იქ ხალხიც და მათი ცხოვრების წესიც თითქოს ძველმოდურია, ეს კი ძალიან მხიბლავს.

— საყვარელი ქვეყანა?

— ავსტრალია.

— საყვარელი მწერალი?

— რობერტ ლადლამი.

— საყვარელი მსახიობი?

— კლინტ ისტვუდი.

— საყვარელი მომღერალი?

— ფილ კოლინზი.

— საყვარელი კერძი და სასმელი?

— იტალიური კერძები და ლუდი.

— ვის თვლით ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებად მსოფლიოში?

— მიხეილ გორბაჩოვს.

— გარდაცვლილთაგან?

— ალბერტ აინშტაინს.

— რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან გამოგონებად?

— ის, რომ ადამიანები მშობლიური ენის გარდა სხვა ენებსაც სწავლობენ.

ვფიქრობ, მიჰაელ შტიხის პასუხებმა გარკვეული წარმოდგენა შეგიქმნათ ჩოგბურთის ამ ახალ ვარსკვლავზე მისი ცხოვრების ყაიდაზე, შეხედულებებსა თუ მისწრაფებებზე. მე კი ის დროა რეიტინგ-ლისტში მეორე ან მესამე ასეულში მყოფი რომელიმე მოთამაშე ამოვირჩიო და ახლავე ვიფიქრო მასთან ინტერვიუს აღება, რათა მერე ისევ ინტერვიუ-კოლაჟის გაკეთება არ მომიწიოს.

დავით კაკაბაძე,
„სარბიელის“ საკუთარი კორესპონდენტი
კიოლნი

ნახვამდის

ჟან-მარი პფაფი

ჟან-მარი

ოქტომბრის შუა რიცხვებში ბელგიის ქალაქ ანტვერპენში ჩატარდება 80-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის, ბელგიის ნაკრებისა და მიუნჰენის „ბავარიის“ მეკარის ჟან-მარი პფაფის გამოსათხოვარი მატჩი. ამ მატჩში „წითელი ეშმაკები“ (ასე ეძახიან ბელგიის ეროვნულ გუნდს) შემდგარი იმ ფეხბურთელებით, ვისთან ერთადაც პფაფმა მოიპოვა ევროპის 1980 წლის ჩემპიონატის ვერცხლი და მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის ბრინჯაო, შეხვდება მსოფლიოს ვეტერანთა ნაკრებს. ბელგიის გუნდს უხელმძღვანელებს გი ტისი, ხოლო ვარსკვლავთა ხელმძღვანელებად დანიშნულები არიან უდო ლატეკი და ფრანც ბეკენბაუერი. ამ მატჩში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს ფრანგებმა მიშელ პლატინიმ, ჟან ტიგანამ და ალენ ჟირესმა, იტალიელებმა პაოლო როსიმ და ალექსანდრო ალტობელიმ. გერმანელებმა ზეპ მაიერმა, კლაუს აუგენტალერმა, პაულ ბრაიტნერმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ და ჰანსი მიულერმა, ჰოლანდიელებმა იოჰან ნეესკენსმა და რუდი კროლმა, კამერუნელმა როჟე მილამ.

მატჩის შემოსავალი გადარიცხული იქნება ინვალიდთა სპორტის ორგანიზაციაში.

24 საათი და 722 ქულა


ვალდემარას ხომიჩუსი

ესპანეთის ქალაქ მალაგაში გამართული საკალათბურთო მატჩი უდავოდ შევა „გინესის რეკორდების“ წიგნში. ამასთან, ერთდროულად რამდენიმე მაჩვენებლით. შეხვედრა შაბათს საღამოს დაიწყო და კვირას დამთავრდა 24 საათისა და 11 წუთის შემდეგ. ექსპერტების აზრით ეს იყო მსოფლიო კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი. ორი ესპანური გუნდის ამ სადღეღამისო მარათონში, რომელიც ღია მოედანზე ჩატარდა, „ბალმაიერმა“ სძლია „პუერტო-მარინა-ისოსტარსს“ ანგარიშით 2508:2312. ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო გამარჯვებული გუნდის მცველი ვალდემარას ხომიჩუსი, რომელმაც 722 ქულა მოაგროვა. მატჩის ანგარიში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და კაუნასის „ჟალგირისის“ ყოფილი მოთამაშის მიღწევა მოხვდება „გინესის“ წიგნში.

ბედნიერებას გისურვებთ, ირვინ!


ირვინ „მეჯიქ“ ჯონსონი

ნბა-ს ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მოთამაშის ირვინ „მეჯიქ“ ჯონსონის მარტოხელა ცხოვრებას წერტილი დაესვა. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მან დაოჯახება გადაწყვიტა. ირვინმა ცხოვრების მეგზურად სკოლის მეგობარი სიმპატიური ერლეტ კელი აირჩია, რომელიც მასავით 32 წლის არის.

მიუხედავად კალათბურთელის პოპულარობისა და შეძლებისა, ქორწილმა ზარ-ზეიმის გარეშე ჩაიარა. ჯვრისწერა შედგა პატარა ქალაქ ლანსინგის ეკლესიაში (ქალაქი ახლოს არის დეტროიტთან) და მხოლოდ 15 წუთს გაგრძელდა. 200-მდე სტუმარს შორის იყვნენ ნბა-ს „ვარსკვლავებიც“. ირვინის და ერლეტის ცხოვრების ბედნიერი წუთები კი რამდენიმე ათეულმა ჟურნალისტმა აღბეჭდა ფირზე.

პოლგარები და ქართველი დიდოსტატები

ახალგაზრდა უნგრელმა დიდოსტატმა დებმა იუდით, ჟუჟა და სოფი პოლგარებმა მოინადირეს ჭომაგთა გულები. მათი ყოველი მიღწევა მყისვე აისახება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, თუმცა ისინი არ არიან მსოფლიო ჩემპიონები. როგორც წესი, პოლგარები მხოლოდ ვაჟთა შეჯიბრებებში მონაწილეობენ. ისინი შეგნებულად არიდებენ თავს ქალთა საერთაშორისო ტურნირებს. ეტიც, მსოფლიო პირველობაში მონაწილეობასაც.

შეგახსენებთ, რომ იუდითი თხუთმეტი წლის არის (დაიბადა 23.07.1976), სოფი — ჩვიდმეტის (2.11.1974), ჟუჟა კი — ოცდაორის (19.04.1969). სამივე მსოფლიოს უძლიერესთა ათეულში შედის. ბოლო რეიტინგ-ლისტის მიხედვით (1991 წლის 1 ივლისისთვის) პირველია იუდითი — 2550, მეორეა ჟუჟა — 2535, მეცხრეა სოფი — 2430.

ბუნებრივია, ჩვენს საქვეყნოდ აღიარებულ დიდოსტატ ქალებს აინტერესებთ შეხვედრები პოლგარებთან. მაგრამ უნგრელებმა არც ერთი მათი გამოწვევა არ მიიღეს. უარი თქვეს მათთან ამხანაგურ მატჩზე (სამ დაფაზე), ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირში მონაწილეობაზე. ბოლოს მიაფუჩეჩეს ამხანაგურ მატჩში მაია ჩიბურდანიძის მიერ იუდით პოლგარის გამოწვევა.

აქამდე ქართველი დიდოსტატები რამდენიმეჯერ შეხვდნენ პოლგარებს სხვადასხვა შეჯიბრებებში. ახლა ამ შეხვედრებზე მოგახსენებთ.

მაია ჩიბურდანიძე ოთხჯერ შეხვდა ჟუჟას და ერთხელ იუდითს. მაიასა და ჟუჟას პირველი შეხვედრა შედგა 1986 წელს ქალაქ დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საემიროები) ქალთა XII საჭადრაკო ოლიმპიადაზე, სადაც ისინი თავიანთი ქვეყნების ნაკრებებს თავკაცობდნენ. პარტია ყაიმით დასრულდა.

მერე მაია და ჟუჟა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ 1988 წელს ბილბაოს (ესპანეთი) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვიც მონაწილეობდა. შეხვედრა აქაც ყაიმით დასრულდა, თუმცა მაიას მცირე უპირატესობა ჰქონდა, როცა შემოთავაზებული ყაიმი მიიღო. ტურნირში მაიამ მესამე ადგილი დაიკავა, ჟუჟამ — მეხუთე.

მაია და ჟუჟა კიდევ ორჯერ 1988 და 1990 წლებში შეხვდნენ ერთმანეთს. უნგრეთის ჭადრაკის ფედერაციის დაჟინებული მოთხოვნით პოლგარებმა მონაწილეობა მიიღეს ქალთა XIII და XIV ოლიმპიადებში. მათ აჯობეს ოლიმპიადების მუდმივ ჩემპიონს საბჭოთა ნაკრებს და თავად დაეუფლნენ ოლიმპიადის „გრან პრის“ — ვერა მენჩიკის სახელობის გარდამავალ თასს.

1977 წელს უნგრელებმა სძლიეს საბჭოთა ნაკრებს — 2:1.

მაიასა და ჟუჟას პარტია ყაიმით დამთავრდა. 1990 წლის ოლიმპიადაზე გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა — 2:1. ამჯერად მაია დამარცხდა ჟუჟასთან.

მაიასა და იუდით პოლგარის ერთადერთი შეხვედრა შედგა 1988 წლის ბოლოს, კანადაში, ქალაქ მასატლანში

პოლგარების ოჯახი სრული შემადგენლობით: (მარცხნიდან) სოფი, იუდითი, ლასლო, ჟუჟა, კლარა.

ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე „აქტიურ ჭადრაკში“. უაღრესად მწვავე ბრძოლა, რომელიც იუდითის უპირატესობით მიმდინარეობდა, ზავის დადებით დამთავრდა.

დებ პოლიგერებთან უპაექრიათ აგრეთვე ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა იოსელიანს.

ნონა გაფრინდაშვილმა მოუგო იუდითს 1990 წლის ოლიმპიადაზე, სადაც იგი საბჭოთა ნაკრებში გამოდიოდა. ნანა იოსელიანი შეხვდა სოფი პოლგარს ქალაქ მესტელინში და წააგო.

ქართველ დიდოსტატ ვაჟებიდან დებ პოლგარებს შეხვედრიან მხოლოდ ზურაბ აზმაიფარაშვილი და თამაზ გიორგაძე.

თამაზ გიორგაძე მეტოქეობდა ჟუჟასა და იუდითს ესპანეთში, სადამანკას 1989 წლის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში. ორივე შეხვედრა მან ყაიმით დაამთავრა.

ზურაბ აზმაიფარაშვილიც ჟუჟასა და იუდითს შეხვდა. ამსტერდამის 1989 წლის საერთაშორისო ტურნირში, სადაც ზურაბმა პირველი ადგილი დაიკავა, მან მხოლოდ ერთი პარტია წააგო — იუდითთან. 1990 წელს დორტმუნდის საერთაშორისო ტურნირში ზურაბი დამარცხდა ჟუჟასთან. პრესამ ეს პარტია ჟუჟას საუკეთესო შემოქმედებით მიღწევად გამოაცხადა.

როგორც ხედავთ, ეპიზოდური ხასიათი აქვს ქართველი დიდოსტატების შეხვედრას პოლგარებთან. ცხადია, სპორტული სამყარო ბევრს მოიგებს, ისინი უფრო ხშირად რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

აქეთური, იქითური...

ჩეხოსლოვაკეთის ჰოკეისტთა ნაკრებმა კიდევ ორი წამყვანი მოთამაშე დაკარგა. კანადის თასის გათამაშების შემდეგ ოკეანის გაღმა დარჩენის სურვილი გამოთქვეს თავდასხმის ლიდერებმა მარტინ ოუცინსკიმ და იოზეფ ბერანეკმა. ორივე ჰოკეისტი ცნობილ კლუბ „ედმონტონ ოილერზში“ აპირებს გამოსვლას და კლუბის ხელმძღვანელობა ფრიად კმაყოფილია შენაძენით. ამავე დროს თავის პროტესტს გამოთქვამს ჩეხოსლოვაკეთის ნაკრების შეფ-მწვრთნელი ივან ჰლინკა. იგი ამტკიცებს, რომ ორივე მოთამაშეს გაფორმებული აქვთ კონტრაქტი „ლიტვინოვის“ გუნდთან და ვალდებული არიან ბოლომდე შეასრულონ თავიანთი მოვალეობა მშობლიური გუნდის წინაშე.

• • •

როგორც ცნობილია, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში გაიმართება 1994 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამასობაში კი, ფიფა-ში უკვე აღირიცხა პირველი რეკორდი: მომავალი გათამაშების ციკლში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 134-მა ეროვნულმა ფედერაციამ. ამრიგად, მოიხსნა წინა რეკორდი, რომელიც იტალიის 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ იყო რეგისტრირებული — 123 ქვეყანა. წინასწარ ჯგუფებში კენჭისყრის ცერემონია გაიმართება ნიუ-იორკში ა.წ. 8 დეკემბერს.

• • •

ამერიკელი მძლეოსანი ქალი, მსოფლიო რეკორდსმენი ჯეკი ჯოინერ-კერსი, რომელმაც ტრამვა მიიღო ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე, კვლავ შეუდგა ვარჯიშს. იგი კარგად გრძნობს თავს და ოპტიმისტურადაა განწყობილი. მთელი ყურადღება მას ახლა ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიადისკენ აქვს გადატანილი. ჯეკის იმედი აქვს, რომ ესპანეთში შესძლებს თავისი იმ წარმატების განმეორებას, რომელსაც მან სეულში მიაღწია და კვლავ მოიპოვებს ოლიმპიურ ოქროს მძლეოსნურ შვიდჭიდში.

• • •

კანადელმა სპრინტერმა ბენ ჯონსონმა გადაწყვიტა დროებით ავსტრალიაში გადასახლებულიყო, სადაც დაიწყო კიდეც 1992 წლის ოლიმპიადისთვის მზადება. მიმდინარე წლის ბოლო ორ თვესა და მომავალი წლის იანვარს იგი სიდნეიში დაჰყოფს. ამ პერიოდში ჯონსონს გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ორ ტურნირში — ტასმანიის კუნძულზე და ადელაიდაში.

• • •

სენეგალის დედაქალაქის საგაზეთო ჯიხურებში გამოჩნდა სპორტულ ყოველკვირეულის „ლე სპორტიფ“-ის („სპორტსმენი“) პირველი ნომერი. რვაგვერდიანი დიდი ფორმატის გამოცემის მომზადებაში სენეგალელ ჟურნალისტებს ეხმარებიან ფრანგი კოლეგები. გაზეთი მიზნად ისახავს ფართოდ გააშუქოს აფრიკისა და სხვა კონტინენტების სპორტული ცხოვრება.

• • •

1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში შვეციაში გაიმართება. ეს გადაწყვეტილება სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციას ეკუთვნის. თავდაპირველად ამ შეჯიბრების მოწყობა იკისრეს ჩრდილო და სამხრეთ კორეამ, მაგრამ მთელ რიგ საკითხებში ვერ მორიგდნენ. ამის შემდეგ ფედერაციას დახმარება შვეციამ შესთავაზა.

აქეთური, იქითური...

PALAVANI · ПАЛАВАНИ ·
ფალავანი

„სარბიელის“ სპონსორია ასოციაცია „ფალავანი“

ამოდის
პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380096, კოსტავას ქ. №14
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჯულუხაძე.